დადგენილება:**დ-81.81220964**
თარიღი:**06/04/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე -20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახე" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 აპრილის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/04/2021წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.116.016503) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,გ) გაპიროვნებული ავტომობილი - ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც იმყოფება ცაგერის მუნიციპალიტეტის ბალანსზე და გადაცემულია სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირებზე .''

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,, მუხლი 3. გაპიროვნებული ავტომობილებით მოსარგებლე თანამდებობის პირები.

   გაპიროვნებული ავტომობილი შეიძლება გააჩნდეს შემდეგ თანამდებობის პირებს:

   ა) ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი;

   ბ) ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

   გ)ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

   დ) ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

ე) ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ვ) ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი;

ზ) ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი ;

თ) ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის,მობილიზაციისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი.''.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი